ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულო

თავმჯდომარის ბრძანება

ბრძანება:**ბ119. 119262303**

თარიღი:**18/08/2026**

წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის ჩატარების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 26-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტისა და „წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის №6 დადგენილებით დამტკიცებული წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის 51-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ჩატარდეს წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა 2026 წლის 18 აგვისტოს, ქ. წალკა, არისტოტელეს ქ. №22-ში, 11:00 სთ-ზე, შემდეგი დღის წესრიგით:

ა) დადგენილების პროექტი „წინასაარჩევნო კამპანიასთან (აგიტაციასთან) დაკავშირებით ზოგიერთი საკითხის მოწესრიგების შესახებ" წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 31 ივლისის #10 დადგენილების ძალადაკარულად გამოცხადების შესახებ;

ბ) განკარგულების პროექტი ,,2026 წლის 3 ოქტომბრის წალკის #25.09 ადგილობრივ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში შუალედური არჩევნების წინასაარჩევნო კამპანიასთან (აგიტაციასთან) დაკავშირებით ზოგიერთი საკითხის მოწესრიგების შესახებ";

გ) განკარგულების პროექტი ,,2026 წლის 3 ოქტომბრის წალკის #25.09 ადგილობრივ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში შუალედურ არჩევნებზე იმ შენობა-ნაგებობების ნუსხის დამტკიცების შესახებ, სადაც შესაძლებელია ჩატარდეს წინასაარჩევნო კამპანია (აგიტაცია)".

2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თეთრიწყაროს რაიონულ სასამართლოში (ქ. თეთრიწყარო, კოსტავას ქ. №11) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22–ე მუხლის მესამე ნაწილით დადგენილი წესით, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.ს

ირაკლი გიგინეიშვილი

წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი